წერილის ნომერი: ძ/22167621
თარიღი: 19/06/2024

**ადრესატი:**

გიორგი ვაზდელიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N 07

დ.ლენტეხი. 11.06.2024 წ.

მიმდინარე წლის 11 ივნისს დღის 12 საათზე ჩატარდა საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ:საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა, წევრები: მევლუდ ლიპარტელიანი, ირაკლი ქურასბედიანი, დავით პირველი,აუდიტის სამსახურის უფროსი გერმან ქურასბედიანი, საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

**2020-23 წლებში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების ეფექტიანობის სახელმწიფო აუდიტის მიერ შემოგზავნილი ანგარიშის განხილვა.**

/მომხს: ლამზირა გუგავა/

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა შესაბამისი რეკომენდაციები ორგანიზაციების ეფექტური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით ეს რეკომენდაციებია:

**1.სხვადასხვა დასახლებაში ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე მიზანშეწონილია შეიმუშავოს დეტალური გეგმა, რომელშიც წარმოდგენ ილი იქნება მუნიციპალიტეტის ყველა დასახლების საჭიროება და მათი დაკმაყოფილების გზები;**

**2.სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მიზანშეწონილია ჩამოაყალიბოს როგორც მუნიციპალური ბიუჯეტის ნაწილი ან ცალკე დოკუმენტი, რომელშიც პროგრამის დოკუმენტი განისაზღვრება კონკრეტული პროექტების /დასახლებების მიხედვით;**

**3.ნათლად ზუსტად და კონკრეტულად განსაზღვროს პროგრამის მიზნები რომლებიც თანხვედრაში იქნება ხელისუფლების ცენტრალურ დონეზე განსაზღვრულ პროგრამის მიზნებთან;**

**4. განსაზღვროს პროგრამის მოსალოდნელი შედეგებიმ და მათი შეფასების ინდიკატორები, რომლებიც იქნება კონკრეტული გაზომვადი და მიღწევადი;**

კომისიის თავმჯდომარემ წევრებთან ერთად იმსჯელა შემოსული რეკომენდაციების შესახებ. საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა აღნიშნა რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესწავლის შედეგად აუდიტმა გააკეთა ზოგადი დასკვნა. რაც შეეხება რეკომენდაციებთან დაკავშირებით შენიშვნებს შემოსულია მთელი საქართველოს მასშტაბით. შემოსულ რეკომენდაციებს უნდა გაეცეს პასუხი;

სხდომაზე დასვეს შემდეგი სახის შეკითხვები:

**საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა დასვა შეკითხვა: რა ხორციელდება და რა შეიძლება გაკეთდეს სოფლის პროგრამებთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, აუცილებელია მოსახლეობას ჰქონდეს ინფორმაცია მიმდინარე პროექტების შესახებ.**

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოსახლეობა ინფორმაციას იღებს, ელექტრონული სისტემის ვებ-გვერდის, რწმუნებულების და დეპუტატების ჩართულობით.

საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ დასვა შემდეგი შეკითხვა:

**რა მიზეზით ვაფორმებდით ხელშეკრულებას გვიან და გვიცდია თუ არა დონორების მოზიდვა?**

ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია განკარგულებით მხოლოდ თანხის ჩამორიცხვის შემდეგ.დონორების მოზიდვას რაც შეეხება ნებისმიერ სოფელს შეუძლია მოიზიდოს დონორი ნებისმიერ

პროექტზე. მერია ვალდებულიაა გააფორმოს პროექტი იმ თანხაზე რასაც დონორი დადებს გამოყოფილია 10.000 ლარი;

**ხდება თუ არა მთლიანი თანხის გამოყენება?**

6.000 ლარი გამოიყო. აღნიშნულ თანხას გავყოფთ ან გამოვიყენებთ საპროექტოსთვის.

**არის თუ არა შესაბამისი სამსახურები საქმის კურსში?**

აუდიტის სამსახურის უფროსმა გერმან ქურსაბედიანმა აღნიშნა, რომ შესაბამისი სამსახურები ინფორმირებული არიან. შემოვა ისეთი რეკომენდაციები რომლის თანახმადაც კონკრეტული დავალება მიეცემა ინფრასტრუქტურის სამსახურს . შემოსული რეკომენდაციების თანახმად განახორციელებენ საქმიანობას. რეკომენდაციები არ ეხება სამხედრო კულტურის და სოციალურ სამსახურებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება დაევალოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის აუდიტის სამსახურს 2024 წლის 3 ივნისს შემოგზავნილი სოფლის მხარდაჭერის პროგრამების განხორციელებისთვის გაცემული რეკომენდაციების მერიის შესაბამისი სამსახურებისთვის გაცნობა და მეთვალყურეობის გაწევა.

**სხდომა დამთავრდა 13:00 საათზე.**

ლამზირა გუგავა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე